გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ გოხელაშვილის 2022 წლის 1 ნოემბერიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **გორის მუნიციპალიტეტი**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მერაბ გოხელაშვილი**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: **ფრაქცია „გორი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე**

ფრაქციის წევრობა: **„გორის საქართველისთვის“ წევრი**

კომისიის (კომისიების) წევრობა: **ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი.**

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): **პროპორციული წესით**

საანგარიშგებო პერიოდი: **2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.**

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი
   - მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 12 სხდომაში.
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
   - განვიხილეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ 218 საკითხზე
3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:
   - საკითხები, რომელიც ეხებოდა მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის ხელფასების გაზრდას, საწვავის ლიმიტების გაზრდას, დაუსაბუთებლად თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდას, პირდაპირი წესით მუნიციპალური ქონების განკარგვას (გარდა სახილმწიფოსთვის გადაცემისა) 2023 ბიუჯეტის დაჩქარებული წესით განხილვას, მერიის სამსახურების/ააიპების დაუსაბუთებელ და გაუმართავ ანგარიშებს.

4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:

- ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია 9 სხდომაში და , სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 10 სხდომაში მივიღე მონაწილეობა.

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:
    - ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია 71 საკითხის , სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 61 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

6. ფრაქციის სხდომებში მონაწილეობა:
    - ვარ ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე.

7. სხვა განხორციელებული საქმიანობები:
    - ვარ მუნიციპალიტეტთან არსებული გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობა მაქვს მიღებული საბჭოს დებულების და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შემუშავებაში. ყოველთვის აქტიურად ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი საკითების განხილვაში. მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ და ცენტრალურ მედიასაშუალებებთან მთელ რიგ პრობლემებთან დაკავშირებით.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

ვგეგმავ, აქტიურად ჩავერთო ბიუჯეტირების პროცესში, რისი საშუალებაც წინა წელს არ მოგვეცა. მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდში ასევე ვგეგმავ აქტიური მონაწილეობა მივიღო ააიპ ების საქმიანობის დეტალურ შესწავლაში, ასევევ ადგილზე შევისწავლო და გადავამოწმო მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული სხვადასხვა პროექტები.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მერაბ გოხელაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2023 წლის 24 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,გორი-საქართველოსთვის"- ფრაქციის თავმჯდომარე: მამუკა ფანიაშვილი;

საკრებულოს წევრები: მერაბ გოხელაშვილი, მაია ბოლაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მერაბ გოხელაშვილის 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მერაბ გოხელაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მერაბ გოხელაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის

1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მერაბ გოხელაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: მაია ბოლაშვილმა და თეა კერესელიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ზექა ლობჟანიძე

საკრებულოს წევრი: მერაბ გოხელაშვილი